განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა

შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 30.10.18

დასკვნის წარდგენის თარიღი: 07.12.18

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	206046045
დაწესებულების სახე	სასწავლო უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	დიპლომირებული სტომატოლოგი 090201
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	300
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული 26.11.2018 N187

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო კორსანტია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სტომატოლოგიის ფაკულტეტი, ოდონტოლოგიის დეპარტამენტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე ბეშკენაძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, სტომატოლოგიის ფაკულტეტი, ოდონტოლოგიის დეპარტამენტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვახტანგ თებიძე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

შპს თბილისის ჰუმანიტარულმა სასწავლო უნივერსიტეტმა განათლების ხარისხის განვითარების ცენტრს განმეორებითი აკრედიტაციის მიზნით მიმართა 20.06.2018. სტომატოლოგიის ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სააკრედიტაციო განაცხადის განახლებული დოკუმენტაცია წარადგინა 26.10.2018.

საგანმანათლებლო პროგრამა სტომატოლოგიაში განკუთვნილია ქართული ენის მცოდნე საქართველოს მოქალაქე და უცხოელი სტუდენტებისთვის, მოიცავს სწავლების 10 სემესტრს.

უკვე აკრედიტებული პროგრამით თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტში სწავლობს 56 სტუდენტი, პროგრამას უკვე 2 წელია ჰყავს კურსდამთავრებულები. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს უნივერსიტეტის 20 აკადემიური პერსონალი (8 პროფესორი, 11 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ პროფესორი) და 21 მოწვეული პერსონალი. გარდა ამისა, უნივერსიტეტში ვიზიტის დროს, ადმინისტრაციის ინფორმაციით, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს კიდევ რამოდენიმე ადამიანი შეემატა.

საგანმანათლებლო პროგრამის და სილაბუსების გაცნობიდან ირკვევა, რომ პროგრამის მიზანია სტუდენტისთვის ცოდნის მიცემა, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული უნარ-ჩვევების კუთხით. უნივერსიტეტს აქვს საკუთარი სტომატოლოგიური კლინიკა და ასევე ბევრი სხვა სტომატოლოგიური ბაზა, სადაც სტუდენტები იღებენ როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ ცოდნას, მაგრამ მხოლოდ მანეკენებზე და ფანტომებზე მუშაობის და მაქსიმუმ, ექიმის ასისტირების გზით. რეალურად, სტუდენტის მიერ კლინიკური უნარ-ჩვევების ათვისება არ ხდება, რადგან მას არ აქვს უშუალო კონტაქტი პაციენტთან (მასწავლებლის მეთვალყურეობის ქვეშ), რაც აუცილებელია.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ვიზიტი შედგა 2018 წლის 30 ოქტომბერს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს წინასწარ გადმოგვეგზავნა უნივერსიტეტიდან გამოგზავნილი დოკუმენტაცია. დამატებითი საბუთები და მასალები, მოთხოვნის შემდგომ, გადმოგვეცა ადგილზე. წინააღმდეგობების გარეშე ჩატარდა ჩვენთვის საინტერესო პირების გამოკითხვა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

პროგრამის შინაარსი, კრედიტების მოცულობა, სწავლების მეთოდები ერთმანეთთან და პროგრამით გათვალისწინებულ მიზნებთან მეტ-ნაკლებად შესაბამისობაშია. პროგრამის სავალდებულო და არჩევითი საგნები მიმართულია ზოგადი კომპეტენციების განვითარებაზე, სპეციალობის სავალდებულო კლინიკური სასწავლო კურსების სწავლების მიზანი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის რესურსებთან და მეტ-ნაკლებად სწავლების შედეგებთან, თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების კუთხით, თუმცა არა სტუდენტის კლინიკური გამოცდილების თვალსაზრისით.

პროგრამით გათვალისწინებული საგნების შეფასება მისაღებია, თუმცა საბოლოო გამოცდაზე ფასდება სტუდენტის თეორიული მომზადება, პრაქტიკული უნარ-ჩვევები - არა.

პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები სტანდარტებთან მეტ-ნაკლებად შესაბამისობაშია. სამწუხაროდ, სილაბუსებში გაპარულია შეცდომები, როგორც შინაარსობრივი, ისე ორთოგრაფიული. რამოდენიმე სილაბუსის სახელწოდება და შინაარსი ერთმანეთს საერთოდ არ ემთხვევა (მაგ., ქირურგიულ სტომატოლოგიაში).

- **რეკომენდაციები**
  - სწავლის შედეგები - კლინიკური უნარ-ჩვევების კუთხით, აუცილებელია ისეთი პროგრამისთვის, როგორიცაა - სტომატოლოგია. სტუდენტისთვის სავალდებულო უნდა იყოს პაციენტის მიღება, რაც გაწერილი იქნება კონკრეტული მანიპულაციების ჩამონათვალით, რომელთა შესრულების შემდეგ სტუდენტს პრაქტიკულ დღიურში მინიჭებული ექნება კონკრეტული ქულა. ეს განსაკუთრებით ეხება სპეციალობის ისეთ საგნებს, როგორიცაა ოპერაციული ოდონტოლოგია, ენდოდონტია, პაროდონტოლოგია, მეტ-ნაკლებად - ქირურგია, ორთოპედია (პაციენტების სპეციფიკიდან გამომდინარე). მარტო ყურება დაუშვებელია.
  - სილაბუსებში არსებული უზუსტობების გასწორება.
  - სტანდარტების შესაბამისად მოწესრიგდეს საუნივერსიტეტო კლინიკის სასტერილიზაციო ოთახი, ცალკე სათავსი გამოიყოს ინფექციური ნარჩენებისთვის.
  - გადაიხედოს სტუდენტთა შეფასება შემაჯამებელ გამოცდაზე, განსაკუთრებით სტომატოლოგიური მიმართულების საგნებში, სადაც პრაქტიკული უნარ-ჩვევები შეისწავლება. დღეისათვის გამოცდაზე ფასდება სტუდენტის მხოლოდ თეორიული ცოდნა, არ ფასდება სემესტრის მანძილზე მის მიერ შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევები. უნივერსიტეტის ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციით, აკადემიური და მოწვეული პერსონალი გადის ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის გადამზადების კურსს, კარგი იქნება, თუ მსგავსი ტიპის გამოცდით სტუდენტის ცოდნის შეფასება უახლოეს მომავალში რეალურად განხორციელდება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - გადაიხედოს ან საერთოდ გაუქმდეს არჩევითი სასწავლო კურსი პაროდონტოლოგიაში. ის, რომ არსებობდა წიგნი და ამიტომ შეიქმნა ეს სასწავლო კურსი - არასერიოზულია. თავისუფლად შეიძლება ამ წიგნის პაროდონტოლოგიის სავალდებულო კურსში დამხმარე სახელმძღვანელოდ დამატება.
  - ამ კონკრეტული პროგრამის ფარგლებში საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან კონტაქტების დამყარება, სტუდენტებისა და მასწავლებლებისთვის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა.
  - საჭიროა გაიზარდოს სტუდენტთა მომსახურების სამსახურის მუშაობის ეფექტურობა და სტუდენტებში მისი ცნობადობა. მომსახურების სამსახურმა განახორციელოს სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტების კონსულტირება დასაქმების და კარიერული ზრდის შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

წინა აკრედიტაციის დროს რეკომენდაციები ძირითადად ეხებოდა სასწავლო კურსების სწავლის მეთოდებსა და შეფასების კრიტერიუმებს, რაც ნაწილობრივ გასწორდა, თუმცა უკეთესი იქნება, თუ შეფასების კრიტერიუმები იქნება უფრო დეტალურად გაწერილი კლინიკური მანიპულაციების გათვალისწინებით.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებო პროგრამა ორიენტირებულია საუნივერსიტეტო განათლების, სტომატოლოგიაში საბაზისო და კლინიკური თეორიული ცოდნის, გარკვეულწილად პრაქტიკული უნარების მქონე სპეციალისტების მომზადებაზე. პროგრამის მიზნები ითვალისწინებს პოტენციური დამსაქმებლების, სტუდენტებისგან, კურსდამთავრებულებისგან და მენტორებისგან მიღებულ რეკომენდაციებს. პროგრამის ამჟამად მოქმედი ვერსიის დანერგვის პროცესში SWOT ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა რიგი კომპონენტები, რომელიც მოდიფიცირებულ იქნა პროგრამის განახლებისას. სტომატოლოგის საგანმანათლებო პროგრამის მიზნები ეფუძნება სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომებს და შესაბამისობაშია თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის მისიასთან, უზრუნველყოს საქართველოს შრომით ბაზარი დამსაქმებელთა მოთხოვნის ადექვატური ხარისხის, სათანადო კომპეტენციის და კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტებით. პროგრამის მიზანია : * თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საუნივერსიტეტო განათლების მიღება * საბაზისო მეცნიერების ცოდნა * ექიმი-სომატოლოგის კომპეტენციის შესაბამისად ზოგადი კლინიკური უნარების სწავლება, ეთიკური და სამართლებლივი პრინციპების ცოდნა * უწყვეტი სამადიცინო განათლების და პროფესიული განვითრების აუცილებლობის მოტივაცია. პროგრამის მიზნების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ვებ-გვერდითა და სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა "პერსონალური გვერდით"-თ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამა
- თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის დებულება
- ჯანდაცვის ფაკულტეტის დებულება
- უნივერსიტეტის ვებგვერდი htttp://thu.edu.ge/
- სასწავლო პროცესის ელექტრონული სისტემა "პერსონალური გვერდი"

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

  მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის შინაარსი, სტრუქტურა და მისი ყველა კომპონენტის ერთობლიობა სრულყოფილად ვერ უზურნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, რადგან სპეციალობის პრაქტიკულ საგნებში სტუდენტთა კლინიკური მომზადების დიდი დეფიციტია, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს გააჩნია ამის როგორც მატერიალური, ისე ადამიანური რესურსი. სტომატოლოგის, როგორც პრაქტიკოსი ექიმის, მომზადება კლინიკური უნარ-ჩვევების ათვისების გარეშე წარმოუდგენელია და უნივერსიტეტში მოყვანილი არგუმენტი, რომ კურსდამთავრებული ამას პოსტდიპლომური სწავლების დროს ისწავლის, არასწორია.

საუნივერსიტეტო სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები მიმართულია ზოგადი კომპეტენციების განვითარებაზე, საფაკულტეტო პროგრამები სტუდენტის კვალიფიკაციის, ზოგადი სამედიცინო განათლების, სამეცნიერო მოღვაწეობის წახალისების, ადამიანის უფლებების, ეთიკის პრინციპების განვითარების და პატივისცემის ხელშეწყობისკენაა მიმართული.

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსები სტანდარტებთან მეტ-ნაკლებად შესაბამისობაშია, თუმცა რამოდენიმე სილაბუსის სახელწოდება და შინაარსი ერთმანეთს არ ემთხვევა, გაპარულია შეცდომები.

პროგრამის შიდა თვითშეფასება მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს. პროგრამაში სწავლის შედეგების სწორად განსაზღვრისა და ჩამოყალიბების მიზნით, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს კონსულტაციას და დახმარებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და ფაკულტეტის სასწავლო პროცესის კოორდინატორი. სტუდენტები განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად იღებენ განმავითარებელ უკუკავშირისაც. გამოიყენება განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ფორმები: ლექტორის მიერ სტუდენტის შეფასება, სტუდენტთა ურთიერთშეფასება (მაგ. შესრულებული დავალების შემდეგ პრეზენტაციის განხილვა / დისკუსია), მენტორის (პრაქტიკის ადგილზე სტუდენტის ხელმძღვანელისგან მიღებული უკუკავშირი წერილობით ან ზეპირი ფორმით) და ა.შ. 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან სტუდენტთა შეფასების პროცესის მხარდასაჭერად უნივერსიტეტში ამოქმედდა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
რეკომენდაციები: ○ მეტი სწავლის შედეგი სტუდენტთა მიერ კლინიკური უნარ-ჩვევების ათვისების მხრივ ○ სილაბუსების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან • ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		●		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამაზე მიღების წინაპირობები გამჭირვალეა და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას, ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, რაც ემსახურება სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან ერთად, აბიტურიენტების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით, უცხო ქვეყნისა და საქართველოს მოქალაქეებს, უმაღლეს საგანმანათლებო დაწესებულებაში პროგრამაზე სწავლის უფლება აქვთ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და შემთხვევებში. ○ უნივერსიტეტში ყოველწლიურად ეწყობა ღია კარის დღე, სადაც პროგრამის განმახორციელებლები აბიტურიანტებისთვის აკეთებენ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი პროგრამების პრეზენტაციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშფასების კითხვარი ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ პროგრამის კომპონენტის (სასწავლო კურსი, მოდული და სხვ.) შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას. ○ პროგრამაზე სწავლა 10 სემესტრი და 300 კრედიტის ფარგლებში ხორციელდება . ○ კრედიტების გაანგარიშებისას გათვალისწინებულია კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსობრივი მოცულობა და მის შესასრულებლად საჭირო დრო. ○ პროგრამა შეესაბამება თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის საგანმანათლებო პროგრამების შეფასების კრიტერიუმებს, რაც დასტურდება შემდეგი მახასიათებლებით: პროგრამა მიმართულია სტომატოლოგიის აუცილებელ საბაზისო ცოდნასა და გარკვეული პრაქტიკული უნარების განვითარებაზე. პროფესიაზე კონცენტრირებული მოდულების გავლამდე სტუდენტი გადის ფუნდამენტურ დისციპლინათა მოდულს, რომლიც ყველა სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობაა და სტუდენტს აძლევს ზოგადფუნდამენტურ ცოდნას. წინაპირობების არსებობა წინასწარ ცნობილია სტუდენტისთვის, რომელიც გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ასევე მითითებულია კურსების სილაბუსებში, რომელსაც სტუდენტი პირველივე ლექციაზე ეცნობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ნაწილობრივ შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს, ისევე როგორც ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. ძირითადი აქცენტი მაინც სტუდენტთა თეორიული მომზადებისკენაა მიმართული, რაც ასევე აუცილებელია, ასევე საკმარისადაა პრაქტიკული უნარ-ჩვევების მანეკენებზე და ფანტომებზე შესწავლა, თუმცა მხოლოდ ფანტომებზე მუშაობა და ზოგჯერ ექიმების ასისტირება საკმარისი არაა კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულის მისაღებად. თითოეული სასწავლო კურსის მოცულობა განსაზღვრულია კრედიტებით. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების განსაზღვრისას გათვალისწინებულია კურსის შინაარსი, კურსით გათვალისწინებული პრაქტიკის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობებისა და დამოუკიდებლად შესასრულებელი დავალებების მოცულობა და შინაარსი. თითოეული კურსის სილაბუსში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები. შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები აფასებენ კურსის მიზნებითა და სწავლის შედეგებით (დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციები) განსაზღვრულ სწავლის თითოეულ შედეგს, თუმცა ეს შედეგი არ გადის სტუდენტის კლინიკურ უნარ-ჩვევებში მომზადებაზე. კურსის სილაბუსებში მითითებულია სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო სავალდებულო და დამხმარე რესურსები, მათ შორის, ლიტერატურა. ზოგიერთი კურსის ფარგლებში გამოიყენება ე.წ. რიდერები, რომელიც ეფუძნება სფეროში არსებულ უახლეს

მიღწევებსა და კვლევებს. კურსის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და რიდერები ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მათი ელექტრონული ვერსია განთავსებულია ბიბლიოთეკის პორტალზე. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის საბიბლიოთეკო ბაზებზე ხელმისაწვდომობას. ასევე თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა პროექტში "ელექტრონულ ინფორმაცია ბიბლიოთეკებისათვის – eIFL" და გამოიყენოს ელექტრონული რესურსები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება ○ სწავლის შედეგების რუქა
რეკომენდაციები: დაინერგოს სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით, მასწავლებლის ზედამხედველობის ქვეშ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან • ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვიზიტის დროს სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრისას წარმოდგენილი იყო მცირემასშტაბიანი კვლევების ცალკეული შემთხვევები, რომლებიც ხორციელდებოდა პედაგოგების ინიციატივით. ამ აქტივობებში აქტიურად იყვნენ

ჩართული მოცემული პროგრამის სტუდენტები, რაც დადასტურდა ვიზიტის დროსაც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში • ინტერვიუ პედაგოგებთან და სტუდენტებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუდენტის სასწავლო პროცესში ჩართულობა და აქტივობა განისაზღვრება ჯგუფებში მუშაობის, დისკუსია/დებატების, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებით, შემთხვევების ანალიზის, პრეზენტაციის, დემონსტრირების მეთოდების, როლური და სიტუაციური თამაშების გზით. სწავლების ამგვარი მეთოდებისა და მათი კომპონენტების გამოყენება უზრუნველყოფს სტუდენტთა ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის შესაძლებლობების, კოგნიტური აზროვნების და ანალიზის უნარის განვითარებას. მეტი ყურადღება ეთმობა თეორიულ სწავლებას და კონცენტრირებულია ინტერაქტიური ლექციების სტილით, ასევე ხდება მანეკენებსა და ფანტომებზე პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისება, ექიმების ასისტირება და ყურება, რაც ერთის მხრივ უზრუველყოფს სტუდენტის ინტეგრირებას კლინიკურ სივრცეში, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. პაციენტებთან დამოუკიდებლად მუშაობა, კონსულტაციები, ანამნეზის შეკრება, დიაგნოზის დასმა, პრაქტიკული უნარების განვითარება (პროფესორის ზედამხედველობის

ქვეშ) აუცილებელია ამ სპეციალობის პროგრამის სტუდენტებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
რეკომენდაციები: დაინერგოს სტუდენტთა კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლა პაციენტებთან მათი უშუალო კონტაქტით პროფესორის ზედამხედველობის ქვეშ.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან • ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემული სტუდენტის შეფასების მეთოდები კარგადაა გაწერილი, დეტალურადაა აღწერილი ქულების განაწილება შუალედურ შეფასებებში და დასკვნით გამოცდაზე. თითოეულ დისციპლინაში მოსწრება ფასდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესაბამისად. სწავლების პროცესში სტუდენტის ცოდნა ფასდება ლექცია-სემინარებზე დისკუსიაში მონაწილეობის, აქტიურობის, პრაქტიკული, ლაბორატორიული და წერითი დავალების შესრულების, პრაქტიკის დღიურის წარმოების, ზეპირი პრეზენტაციის, კითხვებზე პასუხის გაცემის, რეფერატის, სპეციალურად შემუშავებული ტესტების, კითხვარების საშუალებებით.

შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. სამწუხაროდ, დასკვნით გამოცდაზე სტუდენტის მხოლოდ თეორიული ცოდნის შეფასება ხდება, რაც ჩვენი აზრით, არასაკმარისია, სასურველია შემოწმდეს სემესტრის მანძილზე მის მიერ შეძენილი პრაქტიკული უნარ-ჩვევებიც.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
რეკომენდაციები: გადაიხედოს სტუდენტთა შეფასება შემაჯამებელ გამოცდაზე, განსაკუთრებით სტომატოლოგიური მიმართულების საგნებში, სადაც პრაქტიკული უნარ-ჩვევები შეისწავლება.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან • მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			•	

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
სტუდენტებთან შეხვედრისას აშკარა გახდა, რომ მათ აქვთ ღია და ხშირი კომუნიკაცია უსდ-ის ადმინისტრაციასთან და სტუდენტების უმრავლესობა კმაყოფილია სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე მიღებული მხარდაჭერით. აღსანიშნავია, რომ ვიზიტისას უსდ-მ წარმოადგინა სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედვითაც სტუდენტების დიდ ნაწილს არ აქვს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მათ სასწავლებელში ცალკე სტრუქტურის სახით არსებობს სტუდენტთა მომსახურების სამსახური. ანალოგიური სურათი გამოიკვეთა სტუდენტებთან შეხვედრის დროსაც და მათ განმარტეს, რომ კონსულტაციების საჭიროების შემთხვევაში ისინი უმეტესეს შემთხვევაში მიმართავენ ფაკულტეტის პედაგოგებს, დეკანს ან ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებს. როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებმა აღნიშნეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტი უსდ-ს ხელს ნაკლებად უშლის სტუდენტებისთვის სათანადო მხარდაჭერის გაწევაში, მათ მაინც დაიწყეს ქმედითი ნაბიჯების გადადგმა სტუდენტთა მომსახურების სამსახურის ეფექტურობის გასაზრდელად. ვიზიტისას სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ დასაქმების შესაძლებლობებთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით ინფორმაციას იღებენ ძირითადად პედაგოგებისაგან და მეგობრებისგან. საჭიროა სტუდენტთა მომსახურების სამსახურმა ინტენსიურად განახორციელოს სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტების კონსულტირება დასაქმების და კარიერული ზრდის შესაძლებლობებთან დაკავშირებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები
○ სტუდენტების გამოკითხვის შედეგები ○ ინტერვიუები სტუდენტებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:
○ საჭიროა გაიზარდოს სტუდენტთა მომსახურების სამსახურის მუშაობის ეფექტურობა და სტუდენტებში მისი ცნობადობა. ○ საჭიროა სტუდენტთა მომსახურების სამსახურმა განახორციელოს

სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტების კონსულტირება დასაქმების და კარიერული ზრდის შესაძლებლობებთან დაკავშირებით.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	●			

4. **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც

აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აწარმოებს სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შემდგომ შედეგების ანალიზს, რისთვისაც შემუშავებული აქვს სხვადასხვა სახის გამოკითხვის ფორმები.

პერსონალის სწავლების კომპეტენციის შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კრიტერიუმებით. მიმდინარეობს მონიტორინგი რომლის დროსაც ხორციელდება აკადემიური პერსონალის შეფასება, სილაბუსის შემოწმება, პერსონალის პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის ხარისხის განსაზღვრა, პროფესორ მასწავლებლების ცოდნის გადაცემის უნარის შემოწმება.

მოწვეული და აკადემიური პერსონალის შეფასების ერთერთი ფორმაა სტუდენტის შეფასება, რომელიც ერთის მხრივ, სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზით ხორციელდება და მეორეს მხრივ, დარგობრივი კომპეტენციების ცოდნის შეფასებით;

სტუდენტის მიერ აკადემიური პერსონალის შეფასება აკადემიური პერსონალის შეფასების მნიშვნელოვანი მეთოდია, რისთვისაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიმუშავებს სტუდენტთა გამოკითხვის ფორმებს; სტუდენტთა სისტემატური გამოკითხვის ორგანიზებისთვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს კრიტერიუმები, რეგულაციები და პროცედურები; სტუდენტების გამოკითხვა ხორციელდება ყოველი სასწავლო წლის ან სემესტრის ბოლოს; გამოკითხვა მიმდინარეობს ანონიმურად და აუცილებელია კონფიდენციალობის დაცვა; სტუდენტების გამოკითხვის შედეგად ხდება შედეგების რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზი, მათი საჯაროდ გამოქვეყნება და რეკომენდაციების წარდგენა პროგრამების შემდგომი მოდიფიცირებისა და განვითარების მიზნით.

უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და ამასთანავე სამეცნიერო კვლევითი კონკრეტული აქტივობების დაფინანსების საკითხების გადაწყვეტას აწარმოებს შესაბამისი ბიუჯეტის ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროფესორ-მასწავლებელთა პირადი მონაცემები, მათთან დადებული ხელშეკრულებები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი დოკუმენტაციის შესწავლამ აჩვენა, რომ უნივერსიტეტმა თავი მოუყარა სათანადო სამეცნიერო ხარისხის, სამეცნიერო- პედაგოგიური და პრაქტიკული გამოცდილების მქონე პირებს. ეს დამტკიცდა მათთან პირადი გასაუბრების შემდეგაც. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პროფესორ-მასწავლებლების მიერ ჩატარებული ლექციების, სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხი სისტემატურად მოწმდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და სტუდენტთა მიერ, რაც აისახება სპეციალური გამოკითხვის ფორმებში. პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

თვითშეფასების კითხვარიდან ჩანს და ეს დადასტურდა ვიზიტის დროსაც, რომ უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური პერსონალისა და მოწვეული პედაგოგების მუდმივ პროფესიულ განვითარებაზე. უნივერსიტეტში და მის გარეთ აკადემიური პერსონალი ხშირად მონაწილეობს სამეცნიერო კონფერენციებში, მეთოდოლოგიური სემინარებში, ტრეინინგებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროფესორ-მასწავლებელთა პირადი მონაცემები, მათთან დადებული ხელშეკრულებები; ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ ბიუჯეტი.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად უნივერსიტეტს გააჩნია საფანტომო სწავლებისთვის გამოყოფილი და პროფესორების მიერ პაციენტების მიღებისთვის აღჭურვილი საუნივერსიტეტო კლინიკა. გარდა ამისა, პროგრამას ემსახურება სხვა კერძო კლინიკებიც. კლინიკების აღჭურვილობა და ინფრასტრუქტურა საკმარისია სტუდენტებისთვის ბაზისური ცოდნის მიწოდებისა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით უნივერსიტეტს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებთან, სადაც სტუდენტებს პრაქტიკული მეცადიონებები უტარდებათ, აკვირდებიან კვალიფიციური ექიმების მუშაობას და რიგ

შემთხვევებში ასისტირებას უწევენ. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ლაბორატორიები, რომლებიც სწავლების პროცესისთვისაა განკუთვნილი. კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრი, აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები და საკონფერენციო დარბაზები მორგებულია სტუდენტის ინტერესებს და სტანდარტებს. ფუნქციონირებს ბიბლიოთეკაც, სახელმძღვანელოები როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახით სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია. უნივერსიტეტი მიერთებულია არაერთ საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სილაბუსები; ○ ინტერვიუს შედეგები; ○ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება.
რეკომენდაციები: ○ საუნივერსიტეტო სტომატოლოგიური კლინიკის სასტერილიზაციო ოთახის მოწესრიგება და მორგება თანამედროვე სტანდარტებზე. ○ მოსაწესრიგებელია ინფექციური ნარჩენების მართვის საკითხიც. ნარჩენების დროებითი სათავსი გაკეთდეს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 16 ივნისის 294-ე დადგენილების ტექნიკური რეგლამენტის – „სამედიცინო ნარჩენების მართვა“ დამტკიცების შესახებ მოთხოვნების შესაბამისად.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება შესაბამისობაშია მოთხოვნებთან • მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია, რაც დასტურდება 2013-2017 წლების ფინანსური შედეგებით, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ პროგრამა არის მზარდი და ფინანსურად მომგებიანი.
მიუხედავად ამისა, პროგრამის ბიუჯეტში გარკვეულ პუნქტებში გამოყოფილი ფინანსური რესურსები ნაკლებად შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს და ძალიან მცირეა – მაგალითად, ერთი წლის განმავლობაში აკადემიური პერსონალის და სტუდენტების გაცვლითი პროგრამების დაფინანსებითვის გამოყოფილია ჯამში 1000 ლარი (რაც ნაკლებია პროგრამის საერთო ბიუჯეტის 1%-ზე), სამეცნიერო კვლევებისა და საერთაშორისო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის კი – ჯამში 1400 ლარი.

აღნიშნულთან დაკავშირებით უსდ-ის ადმინისტრაციამ განაცხადა, რომ ბიუჯეტში ეს ჩანაწერები გაკეთდა ახალი სტანდარტების მოთხოვნების გამო, რათა ნაჩვენები ყოფილიყო, რომ უსდ-ს მოცემული მიმართულებებით გამოყოფილი აქვს ფინანსური რესურები. ასევე განმარტეს, რომ საჭიროების შემთხვევაში უსდ-ს შეუძლია დამატებითი თანხები გამოყოს სარეზერვო ბიუჯეტიდან. ამის დასადასტურებლად უსდ-მ წარმოადგინა დაწესებულების მთლიანი ბიუჯეტი. თუმცა უკეთესი იქნება, პროგრამის ბიუჯეტში უფრო ნათლად აისახოს მოცემული მიმართულებებით განვითარებისთვის საკმარისი ფინანსური რესურსების არსებობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები უსდ-ის ადმინისტრაციასთან
- პროგრამის ბიუჯეტი

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- პროგრამის ბიუჯეტში ნათლად აისახოს გაცვლითი პროგრამებისა და კვლევების მიმართულებებით განვითარებისთვის საკმარისი ფინანსური რესურსების არსებობა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია . მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	●			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამას გააჩნია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელშიც ჩართული არიან პროგრამის განხორციელებაში მონაწილე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, ასევე, სტუდენტები. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობით შიდა შეფასების შედეგად ხდება პროგრამის ნაკლოვანებების გამოვლენა და მუშავდება სტრატეგია მათ აღმოსაფხვრელად. სტუდენტებში ტარდება გამოკითხვები როგორც პროგრამასთან დაკავშირებულ, ასევე, ადმინისტრაციულ საკითხებზე. ვიზიტისას წარმოდგენილი იყო მაგალითები, როცა სტუდენტების შეფასებებზე დაყრდნობით პროგრამაში შევიდა ცვლილებები. აკადემიურ პერსონალთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლებთან შეხვედრისას დადასტურდა, რომ ისინი ერთობლივად მუშაობდნენ პროგრამის შიდა შეფასებაზე და ცვლილებების შეტანაზე, თუმცა ერთეულ შემთხვევებში აკადემიური პერსონალისგან გამოიხატა უკმაყოფილება, რომ მათი აზრები ბოლომდე არ იყო გათვალისწინებული.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; ○ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, განვითარების მეთოდოლოგია და შეფასების მექნიზმები.

რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ სასურველია ფაკულტეტის ადმინისტრაცია მაქსიმალურად ცდილობდეს ყველა პედაგოგის აზრის მოსმენას და მათ გათვალისწინებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაიწყო გარე ხარისხის შეფასების განხორციელება, თუმცა საჭიროა გარე შეფასებამ მიიღოს რეგულარული სახე და მოხდეს ამ შეფასების შედეგების პრაქტიკაში გამოყენება. პროგრამის გარე შეფასება განხორციელდა საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის მიერ, რომელიც თარიღდება 2018 წლის 14 ივნისით. მოცემული რეკომენდაციების გარკვეული პუნქტების გათვალისწინებით უსდ-ს ვიზიტის მომენტისთვის უკვე გადადგმული ქონდა შესაბამისი ნაბიჯები. მიუხედავად ამისა, არ იკვეთება გარე შეფასების რეგულარული ხასიათი – უსდ-მ წარმოადგინა გარე შეფასების მხოლოდ ზემოთ აღნიშნული დოკუმენტი და არ იყო მოცემული წინა წლებში განხორციელებული გარე შეფასების მაგალითები, გარდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტების ვიზიტის 2013 წლის 22 ნოემბრით დათარიღებული ანგარიშისა. აღნიშნულ ანგარიშში მოცემული რეკომენდაციების ნაწილს პროგრამა დღეისათვის აკმაყოფილებს, ხოლო ნაწილი კვლავ საჭიროებს მხედველობაში მიღებას, კერძოდ: ○ გათვალისწინებულია რეკომენდაცია სწავლების პროცესში გარკვეული მეთოდების გამოყენებასთან და სილაბუსებში ასახვასთან დაკავშირებით; ასევე, სასწავლო კურსში „პირველადი დახმარება“ დაშვების წინაპირობების ცვლილებასთან დაკავშირებით. ○ თუმცა, არ არის გათვალისწინებული რეკომენდაცია შეფასების სისტემაში პრაქტიკული უნარ-ჩვევების კომპონენტის შეფასების კრიტერიუმის ცალკე გამოყოფასთან დაკავშირებით. ○ ასევე, სასწავლო კურსზე „ანესთეზიოლოგია ქირურგიულ სტომატოლოგიაში“ დაშვების წინაპირობად კვლავ არ არის განსაზღვრული საგანი ფარმაკოლოგია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის გარე შეფასება, 2018 წლის 14 ივნისი
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტების ვიზიტის 2013 წლის 22 ნოემბრით დათარიღებული ანგარიში

რეკომენდაციები:

- გათვალისწინებული იყოს გარე შემფასებლების მიერ გაკეთებული მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციები (სასწავლო ლიტერატურის გადახედვა, არჩევით საგანში პაროდონტოლოგიაში ცვლილებების შეტანა) .
- გათვალისწინებული იყოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტების 2013 წლის 22 ნოემბრით დათარიღებულ ანგარიშში წარმოდგენილი რეკომენდაციები.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლის პერიოდში ხორციელდება პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება. ბოლო აკრედიტაციის მიღებიდან ყოველწლიურად აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. პერიოდულად მიმდინარეობს ინფორმაციის სისტემური შეგროვება, გამოკითხვების ჩატარება, შეგროვილი ინფორმაციის დამუშავება და შემდგომი ანალიზი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების ამსახველი დოკუმენტი; ○ უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული სტუდენტთა/ კურსდამთავრებულთა/ დამსაქმებელთა/ პერსონალის გამოკითხვის შევსებული ფორმები, გამოკითხვის შედეგები; ○ სამართლის პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ამსახველი დოკუმენტები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება • შესაბამისობაშია მოთხოვნებთან მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	●			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: სტომატოლოგია
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 26

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		●		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			●	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	●			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	●			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	●			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის სახელი, გვარი, ხელმოწერა:

ნინო კორსანტია

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის სახელი, გვარი, ხელმოწერა:

ეკატერინე ბეშკენაძე

ვახტანგ თებიძე